საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 4 23 0000611259

29/05/2023

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისაკრედიტაციისმინიჭების შესახებ

1.გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1.„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27[5]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27[6]-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “ან„ არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2.აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1.სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2022 წლის 25 ნოემბერს წარმოდგენილ იქნა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის №35/7483 სააკრედიტაციო განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის № 1502938, 25/11/2022) „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2022 წლის 08 დეკემბრის №1568501 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2023 წლის 27 იანვრის №91361 (ცვლილება №105330 31/01/2023) ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2023 წლის 27 თებერვალს. განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უნივერსიტეტში. აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 11 მაისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექპსერტთა შეფასება.

3.სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,აკრედიტაციის საბჭომ 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "„გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2028 წლისნ 31 დეკემბერამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 29 მაისის №607690 სხდომის ოქმის №08 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია საგანი პირველი მსოფლიო ომი და საქართველო არჩევითი ბლოკიდან გადავიდეს სავალადებულო საგანთა ბლოკში;
2. გადაიხედოს სავალდებულო ბლოკის კულტურათაშორისი და დარგობრივი კომუნიკაცია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსები და დაზუსტდეს სასწავლო კურსის მიზნები და შედეგები სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე;

3. მიზანშეწონილია დაზუსტდეს შეფასების ფორმები და რუბრიკები გერმანული ენის პრაქტიკული კურსების C1.1, C1.2 და C1.3 სილაბუსებში, რათა სრულად იქნას უზრუნველყოფილი სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვა;
4. დაემატოს არჩევით ბლოკს სასწავლო კურსი, რომელიც განიხილავს გერმანიისა და ნატოს-ს ურთიერთობებს, ნატოს საგარეო პოლიტიკის ასპექტებს;
5. მიზანშეწონილია სასწავლო კურსს ,,დიალოგურობიდან ინტერმედიალობამდე: ლიტერატურის კომპარატისტული კვლევის ძირითადი პრინციპები" დაშვების წინაპირობად მიეთითოს ინგლისური ენის ფლობა, ან ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა განისაზღვროს როგორც დამატებითი სასწავლო რესურსი.

რჩევები:

- სასურველია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა სწავლის შედეგების რუკაში პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილი სურათის ვიზუალიზაციის მიზნით.
- სასურველია გაფართოვდეს პროგრამის სავალდებულო ბლოკი („გერმანული კულტურა") ისეთი სასწავლო დისციპლინებით, რომლებიც გერმანული კულტურის სხვა სფეროებსაც (მუსიკა, არქიტექტურა, ფერწერა და სხვ.) მოიცავენ.
- სასურველი დამატებით განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე დაშვების წინაპირობა.
- სასურველი იქნებოდა, თუკი სასწავლო კურსებში „კანტის ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება", „ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერება": ტექსტი და კონტექსტი", „ფრიდრიხ ნიცშე და მორალის გენეალოგია" და „ვალტერ ბენიამინის თეზისები ცნების შესახებ" ძირითადი ლიტერატურის დიდი ნაწილი გერმანულენოვანი წყაროები იქნება;
- სასურველია დაზუსტდეს სასწავლო კურსების ,,დიალოგურობიდან ინტერმედიალობამდე: ლიტერატურის კომპარატისტული კვლევის ძირითადი პრინციპები" და ,,ლიტერატურის სოციოლოგია: პროდუქცია, დისტრიბუცია, რეცეფცია" სწავლის მიზანი - ,,მისცეს მომავალ ლიტერატურათმცოდნეებს სიღმისეული ცოდნა ლიტერატურის შედარებითი კვლევის ძირითადი პრონციპებისა და კატეგორიების შესახებ" და მოვიდეს სრულ თანხვედრაში პროგრამის მიზნებთან;
- სასურველია დაკორექტირდეს სილაბუსში ,,გარდატეხის რეპრეზენტაცია პოსტტოტალიტარულ ლიტერატურასა და კინოხელოვნებაში" არსებული ტექნიკური უზუსტობა და სწავლების საფეხურად მითითებულ იქნას სამაგისტრო საფეხური;
- სასურველია სილაბუსში ,,გარდატეხის რეპრეზენტაცია პოსტტოტალიტარულ ლიტერატურასა და კინოხელოვნებაში" განისაზღვროს ძირითადი ლიტერატურა.
- სასურველია შესწორდეს ტექნიკური ხარვეზი პროგრამის მიღების დოკუმენტში, კერძოდ, ზეპირი გამოცდის/გასაუბრების „კომუნიკაციის და ლოგიკური მსჯელობის უნარის" კომპონენტის პირველ ქვეკომპონენტში.
- სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში მკაფიოდ გაიწეროს, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება ერთიანად, დასკვნითი შეფასების მეშვეობით, რომელიც დოკუმენტში მითითებულ ოთხივე ელემენტს მოიცავს.
- სასურველია, გადაიხედოს ბიუჯეტში პროგრამულ უზრუნველყოფაზე გამოყოფილი ხარჯები.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 29 მაისს.
6. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2024 წლის 29 მაისი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში

წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	გერმანიისმცოდნეობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ინტერდისციპლინური - მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას, 0388
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო, კორპუსები A, B, C და D
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	29/05/2023
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	29/05/2024
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31/12/2028